ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2.9.16/10/041

ქ.თბილისი 20 აპრილი 2015 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ანაგრი გრუპი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ უტკევიჩის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია-რაიონის ტერიტორიაზე, ნავთლუღის ჩიხი №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ხანძრის შედეგად შედეგად დაზიანებული კედლისა და სახურავის აღდგენა-შეკეთების სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

2.2. CPV კოდი 45261910.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 7960.13 (შვიდი ათას ცხრაას სამოცი ლარი და 13 თეთრი) ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3. შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი და შესაბამისი დარგის კურატორი გამგებლის მოადგილე.

6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

6.1. სამუშაოების შესრულების ადგილი- ნავთლუღის ჩიხი №5;
6.2. სამუშაოები განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არუგვიანეს 10 დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 მაისამდე.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

ისნის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1

ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

--------------------------ვ. ქიზიყურაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ანაგრი გრუპი"
მის. ქ. თბილისის, ჩოლოყაშვილის 7/1
სს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE84 LB01 1315 3106 3860 02

კოდი LBRTGE22
საიდენტ. კოდი 406 137 470

დირექტორი

---------------------------მ. ჭუმბურიძე

შემსყიდველი: ქ. თბილისის ისანის რაიონის გამგეობა
შემსრულებელი: შპს "ანაგრი გრუპი"
მდებარეობა: ნავთლუღის ჩიხი №5

შესასრულებელი სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა

დაზიანებული (დამწვარი) სახურავის შეკეთება

№	სამუშაოს დასახელება	ხელფასი				მასალა					მექანიზმები და ტრანსპორტი		სულ
		განზომ ერთ	რაოდ ენობა	ერთეულ ზღვარი	სულ	მასალის დასახელება	განზომ ერთ	რაოდ ენობა	ერთეულ ზღვარი	სულ	ერთეულ ზღვარი	სულ	
1	2	3	4	5.0	7	8	9	10	11	12	13	14	15
	სადემონტაჟო სამუშოები												
1	დემონტაჟი/ჩამოტანა	მ2	110	2.30	253.00								253.00
2	სახურავის ხის კონსტრუქციის მოწყობა და არსებული კონსტრუქციის გამაგრება	მ2	116	10.000	1160.00	ხის მასალა	მ3	2.00	500.00	1000.00	25.00	50	2210.00
3						ლურსმანი	კგ	13.0	3.00	39.00		0	39.00
4						შემკრავი მავთული 4მმ	კგ	6	2.50	15.00		0	15.00
5	თუნუქის სახურავის მოწყობა	მ2	116	5.00	580.00	0,45 მმ -იანი მოთუთუებული ღარიანი ფურცელი	მ2	116.0	8.50	986.00	0.5	58	1624.00
6	სახურავის გვერდითი ნაწილის აკვრა მოთუთუებული თუნუქით	მ2	15	5.00	75.00	0.3 მმ მოთუთუებული ფურცელი	მ2	15.0	6.00	90.00		0	165.00
						თვითმხრახნი შურუპი	ც	500	0.10	50.00		0	50.00
	გვერდითა საყრდენი კედლის დემონტაჟი	მ2	25	5.00	125.0							0	125.00
	გვერდითა საყრდენი კედლის აშენება	მ2	25	10.00	250.0	ბლოკი	ც	300	1.20	360.00	50.0	50	660.00
						ცემენტი	ც	10	11.00	110.00			110.00
						ქვიშა	მ3	1.5	45.00	67.50			67.50
	კედლის საყრდენი სვეტი	ც	2	75.00	150.0	ბეტონი	მ3	2	110.00	220.00	50.0	100	470.00
						არმატურა	გ/მ	100	2.00	200.00			200.00
	კედლის სარტყელი	გ/მ	9	15.00	135.0	ბეტონი	მ3	1	110.00	110.00	50.0	50	295.00
	ჯამი:				**2728.00**					**3247.5**		**308.0**	**6283.50**
	მ.შ საშემოსავლო				545.60								545.60
	ზედნადები ხარჯი	10%											628.35
	ჯამი												**7457.45**
	გეგმიური დაგროვება	8%											502.68
	ჯამი												**7960.13**

ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგეობა

შემსრულებელი:
შპს "ანაგრი გრუპი"
დირექტორი: მ. უტკევიჩი